

გარემოს მცოდნეობის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომა

ოქმი II (შემაჯამებელი ოქმი)

6 აგვისტოს 12 საათზე გაიმართა გარემოს მცოდნეობის საბჭოს შეხვედრა. დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით

სხდომას ესწრებოდა 11 წევრი (10 საბჭოს წევრი)

1 დავით თარხნიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ევოლუციური ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულებით, ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2 მათა გაბუნია - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს მდივანი;

3 მაკა მურვანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის გამგე - საბჭოს წევრი;

4 ეკა ესებუა - ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

5 ზურაბ ჯავახიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკოლოგიის, კონსერვაციული ბიოლოგიის და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულებით - საბჭოს წევრი;

6 ინგა დიასამიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

7 თამარ ნადირაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

8 მაგდა დავითაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;

9 ნატო სულთანაშვილი - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

10 ლია მეგრელიძე - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: ხატია ბერიძე კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ხატია ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 15 წევრიდან ესწრებოდა 10 საბჭოს წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესიგანათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასევე მან აიღო ნებართვა სხდომის ჩანაწერის გაკეთებისთვის ოქმის წარმოების მიზნით.

ასევე ხატია ბერიძემ მოახსენა, რომ საჯარო განხილვის ფარგლებში დოკუმენტთან მიმართებით არ წარმოდგენილა არც ერთი რეკომენდაცია, მას ჰქონდა რეკომენდაცია კვალიფიკაციების ნაწილი უფრო დაკონკრეტებულიყო, რაც საბჭომ გაიზიარა, სხვა საბჭოს წევრს არანაირი მოსაზრება არ გამოუთქვამს დოკუმენტთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე ბატონი დავითი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის. თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გააცნო შემუშავებული დოკუმენტი და განაცხადა, რომ დღეს შემუშავებული დოკუმენტი კენჭისყრაზე გავა შემდეგი მიზნით წარედგინოს თუ არა იგი ცენტრის დირექტორს დასამტკიცებლად. მანამდე კი კიდევ ერთხელ წარუდგინა საბჭოს

ეკოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხური ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეკოლოგიის სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

ეკოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და დამოუკიდებელი საქმიანობის უნარს, რომლებსაც სტუდენტი ეკოლოგიის შესაბამისი საუნივერსიტეტო პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენს.

ეკოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სტუდენტების მობილობის, პროფესიის დაუფლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მხარდაჭერა.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია ეკოლოგიის ბაკალავრისა და ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვა მახასიათებლები. ეკოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა, რეკომენდებულია შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ეკოლოგიის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება.

თითოეული განმარტებული უსდ უფლებამოსილია, აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს ეკოლოგია; სტუდენტისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი, თუ რა კომპეტენციები ექნება ეკოლოგიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირთათვის, რომლებსაც ევალებათ პროგრამების პერიოდულად შეფასება და ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა – Subject Benchmark Statement of Ecology.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

ეკოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის შექმნის საჭიროება განაპირობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ.

II. სწავლის სფეროს აღწერა

საუნივერსიტეტო ეკოლოგიის სწავლის სფერო ორიენტირებულია ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემების და გარემოს მდგრადი განვითარების შესწავლაზე, ასევე ეკოლოგიური პრობლემების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების შემცირების, კლიმატის ცვლილების, გარემოს დაბინძურების და დეგრადაციის მონიტორინგზე, მათი მიზეზების და შედეგების გამოვლენაზე.

ეკოლოგია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმის ურთიერთკავშირს სხვა ორგანიზმებთან და ზოგადად გარემოსთან ბუნებრივ და ხელოვნურ ეკოსისტემებში. მისი კვლევის ობიექტებია:

- ზეორგანიზმული ცოცხალი სისტემები - პოპულაცია, ბიოლოგიური თანასაზოგადოება, ეკოსისტემა, ბიოსფერო;
- ბიომრავალფეროვნება და მისი სტრუქტურა: ცხოველების, მცენარეების, სოკოების და მიკროორგანიზმების ევოლუცია, სისტემატიკა და ტაქსონომია, გეოგრაფიული გავრცელება;

- რესურსები და ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ორგანიზმების გავრცელებას, პოპულაციების რიცხოვნობას და სიცოცხლისუნარიანობას; ეკოლოგიური ნიში;
- ენერჯისა და ნივთიერების მიმოქცევა ეკოსისტემებში, ტროფული კავშირები
- მსოფლიოს ეკოსისტემები და ბიომები;
- ორგანიზმების ურთიერთგავლენა ეკოსისტემებში - კონკურენცია, მუტუალიზმი, მტაცებლობა და პარაზიტიზმი, ამენსალიზმი და კომენსალიზმი.

ეკოლოგია სწრაფად განვითარებადი მეცნიერებაა, რომელიც ფართოდ იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ მეთოდებს, სტატისტიკურ ალგორითმებს, გენეტიკურ მარკერებს, სივრცულ მოდელირებას, ახალ სამეცნიერო კონცეფციებს. ახალი ეკოლოგიური ცოდნა ყოველწლიურად იხვეწება და ქვეყნდება წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში.

ეკოლოგიის პრაქტიკული მნიშვნელობა მრავალფეროვანია, მათ შორის ეკოლოგიური ცოდნა აუცილებელია:

- გარემოზე ადამიანის საქმიანობის ზემოქმედების შეფასებისთვის;
- ეკოლოგიური რისკების შეფასებისთვის;
- სახეობების და ეკოსისტემების კონსერვაციისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის;
- ბიომრავალფეროვნების აღწერისა და მონიტორინგისთვის;
- ეკოლოგიური ფაქტორების ცოცხალ ბუნებაზე, ადამიანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე შეფასებისთვის;
- ტყის, სანადირო ცხოველების, თევზის და სხვა ბიოლოგიური რესურსების ოპტიმალური მართვისთვის

ეკოლოგია ცოდნის ფართო სფეროა, რომელიც, თავის მხრივ, სპეციფიკურ მიმართულებებად იყოფა ამ მეცნიერების ფარგლებში. ესენია:

- ცხოველთა ეკოლოგია და მრავალფეროვნება;
- მცენარეთა ეკოლოგია და მრავალფეროვნება;
- მიკროორგანიზმების და სოკოების ეკოლოგია და მრავალფეროვნება;

- ეკოსისტემების ეკოლოგია (მათ შორის: ტყის, საძოვრების, ოკეანის, მტკნარი წყლის და სხვა ეკოსისტემების ეკოლოგია);
- ბიოლოგიური თანასაზოგადოებების ეკოლოგია;
- ორგანიზმის ეკოლოგია;
- პოპულაციური ეკოლოგია;
- გარემოს დაცვა;
- გარემოს საფრთხეები.

თუმცა, ეკოლოგიის ფარგლებში მრავალი სხვა მიმართულებაც არსებობს და ჩამოთვლილი მიმართულებები არ ზღუდავენ ეკოლოგიის სფეროს.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს.

უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს. უსდ-ს უფლება აქვს კვალიფიკაციის მისანიჭებლად თავად განსაზღვროს სპეციფიკური მიდგომები და მეთოდები.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები.

ეკოლოგიის სწავლის სფეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები შემდეგია:

ცოდნა და გაცნობიერება:

- კურსდამთავრებული აღწერს ცოცხალი სისტემების სტრუქტურას, ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებას და ბიომრავალფეროვნებას ორგანიზმულ, პოპულაციურ, თანასაზოგადოებების და ეკოსისტემურ დონეზე; ეკოლოგიური ნიშების თავისებურებებს; ცოცხალ ორგანიზმებს შორის არსებული ურთიერთობების ტიპებს; ორგანიზმების ურთიერთობას არაცოცხალ გარემოსთან.
- მიმოიხილავს ანთროპოგენული ფაქტორების გავლენას ცოცხალი და არაცოცხალი გარემოს ობიექტებზე, აფასებს ეკოლოგიურ საფრთხეებს და ანთროპოგენული ფაქტორის მნიშვნელობას ამ საფრთხეების გაძლიერებაში, განიხილავს გარემოს დაცვის მნიშვნელობას არსებული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის.
- განიხილავს კავშირებს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის, გარემოში მიმდინარე ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს და მათ კავშირს ბუნებრივ და ხელოვნურ ეკოსისტემებთან.

უნარები:

- კვალიფიცირებულად აგროვებს ეკოლოგიურ ინფორმაციას (ტაქსონომია, რიცხოვნობის ანალიზი, სხვა ტიპის რაოდენობრივი მონაცემები) და მის საფუძველზე აყალიბებს სამეცნიერო ჰიპოთეზებს;
- აფასებს გარემოში მიმდინარე ეკოლოგიურ პროცესებსა და ანთროპოგენული ფაქტორის როლს ბუნებრივ პროცესებში;
- აცნობიერებს ეკოლოგიურ პრობლემებს;
- აანალიზებს და კრიტიკულად განიხილავს მონაცემებს, აკადემიურ ლიტერატურას, და ინფორმაციის სხვა წყაროებს;
- მონაწილეობს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის/პროექტის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში, ახორციელებს სავლელ და/ან ლაბორატორიულ კვლევებს ხელმძღვანელის მიერ შერჩეული მეთოდის შესაბამისად;
- აღწერს და ინიშნავს კვლევების მიმდინარეობის ეტაპებს;
- ახდენს ინფორმაციის ანალიზს, სინთეზს, შეჯამებას და კრიტიკულ განხილვას; ანალიზის პროცესში იყენებს მონაცემების დამუშავების შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

- იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას და აკადემიურ სტილს ნაშრომის მომზადების დროს;
- აქვს განსხვავებული აზრის და არგუმენტების გააზრების უნარი;
- გასაგებად და დამაჯერებლად წარმოადგენს საკუთარ თვალსაზრისს;
- ეკოლოგიური პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ აწარმოებს კომუნიკაციას როგორც პროფესიულ საზოგადოებასთან, ასევე არასპეციალისტებთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- ეკოლოგიის შესაბამის მიმართულებებში არსებული კომპლექსური პრობლემების განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს ეთიკური ნორმებით, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების პრინციპებით.
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში ეთიკის, კანონდებლობით გათვალისწინებული ნორმებით, პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ასრულებს პროფესიულ საქმიანობას.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები.

ეკოლოგიის სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები შემდეგია:

ცოდნა და გაცნობიერება:

- აჩვენებს ღრმა და სისტემურ ცოდნას ეკოლოგიის შემდეგ სფეროებში: ცხოველებისა და მცენარეების ეკოლოგია, პოპულაციების ეკოლოგია,

თანასაზოგადოებების ეკოლოგია, ეკოსისტემების მრავალფეროვნება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია;

- აცნობიერებს ეკოლოგიური მონიტორინგის და ექსპერტიზის მნიშვნელობას; ფლობს მონიტორინგის უახლეს მეთოდოლოგიებს;
- კონკრეტულ საკითხს განიხილავს მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ ჭრილში; აქვს საკმარისი ცოდნა, რათა შეიმუშავოს და შეამოწმოს სამეცნიერო ჰიპოთეზები, შეადგინოს კვლევის გეგმა;
- აქვს თეორიების, პარადიგმების, ცნებებისა და პრინციპების საგნობრივი ცოდნა და გაცნობიერება.

უნარები:

- ახდენს გარემოს საფრთხეების იდენტიფიცირებას და ანალიზს უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- ერთვება სამეცნიერო კვლევით პროექტებში; წარმართავს კვლევას დამოუკიდებლად; ასევე ფლობს გუნდური მუშაობის პრინციპებს;
- აფასებს სახეობების, პოპულაციების, თანასაზოგადოებებისა და ეკოსისტემების მდგომარეობას, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; შეიმუშავებს ადეკვატურ რეკომენდაციებს.
- აგროვებს, ამუშავებს და აანალიზებს მონაცემებს შესაბამისი ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- მონაცემების დამუშავებისას იყენებს შესაბამის რიცხობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- ახდენს კვლევის შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
- სახავს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებს;
- ეკოლოგიური პრობლემების და მათი გადაჭრის გზების, ასევე ეკოლოგიის სამეცნიერო საკითხების შესახებ კომუნიკაციას აწარმოებს პროფესიულ საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით;

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ა) მეცნიერების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით – Bachelor of Science (BSc) – Ecology

მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Master of Science (MSc) – Ecology

ან

ბ) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Bachelor of Ecology

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Ecology

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს ეკოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლისა და სწავლების მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს წარმოაჩინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა ეკოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფდეს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით, ექვემდებარება პერიოდულ გარე შეფასებას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სწავლის, სწავლებისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებული ფორმებია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ზოგიერთს, და/ან სხვა, დამატებით მეთოდებს. ყველა შემთხვევაში, ეკოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები უნდა ახდენდნენ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ გადახედვა-განახლებას.

ეკოლოგიის სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით/აქტივობებით:

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstration Method);
- ჯგუფში მუშაობა (Group Work);
- პრაქტიკული მუშაობა (Practical Work);
- საველე პირობებში მუშაობა (Field work);
- კონკრეტული სიტუაციის შესწავლა (Case Study);
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Study);
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Study);
- ლაბორატორიული მუშაობა (Laboratory Work) ;
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates);
- პრეზენტაცია (Presentation);
- ელექტრონული სწავლება (e-learning);

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერიითი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას და წარმოდგენას და სხვა შესაძლებელ მეთოდოლოგიებს.

VI დამატებითი ინფორმაცია

VII დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ევოლუციური ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მიმართულებით, ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2.	მაია გაბუნია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს მდივანი;
3.	ლია მაჭავარიანი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის

		სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე - საბჭოს წევრი;
4.	მაკა მურვანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის გამგე - საბჭოს წევრი;
5.	გულნარა ქარჩავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
6	ეკა ესებუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
7	ზურაბ ჯავახიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკოლოგიის, კონსერვაციული ბიოლოგიის და ბუნებრივი რესურსების მართვის მიმართულებით - საბჭოს წევრი;
8	ინგა დიასამიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

		უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
9	ნარგული ასანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აგროეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
10	თამარ ნადირაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
11	მაგდა დავითაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფეს ორი, აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი -

			საბჭოს წევრი;
12	ნატო სულთანშივილი	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;
13	ნათია იორდანიშვილი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი	სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი;
14	დავით ხარაზიშვილი	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორის მოადგილე - საბჭოს წევრი;
15	ლია მეგრელიძე	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი.

დოკუმენტის გაცნობის შემდეგ თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ეკოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის წარდგენის რეკომენდაციის საკითხი.

დაადგინეს

საბჭომ ერთხმად მიიღო დადებითი რეკომენდაცია წარდგინოს ეკოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ცენტრის დირექტორს.

კენჭის ყრის შედეგები: 10 მომხრე, 0 წინააღმდეგი

ასევე, საბჭომ იმსჯელა შემდგომი სამუშაოების შესახებ და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ გარემოს მცოდნეობის მიმართულებით დარგობრივი დოკუმენტი ამ დროისთვის არ შემუშავდეს, ვინაიდან ამ მიმართულებით ქვეყანაში საგანმანათლებლო პროგრამების სიმწირეა.

სხდომა დასრულდა 13:00 საათზე



საბჭოს თავმჯდომარე - დავით თარხნიშვილი



საბჭოს მდივანი - მაია გაბუნია